სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №25
2021 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 23 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 23 თებერვლის №24 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 24.02.2021, 040170020.57.069.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 000 ლარს, გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს მხოლოდ სისტემაში, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, მიმწოდებლის სტატუსით რეგისტრირებულ პირთან. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება არარეზიდენტ პირთან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 26 თებერვლიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**